ოქმი:**ო31. 3126149001**
თარიღი:**29/05/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N7

ქ. ლანჩხუთი

27. 05. 2026 წელი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები მაია ლომთაძე და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი გურამ ბოლქვაძე.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** პირველ რიგში, აღნიშნა, რომ პირადად იმყოფებოდა დღეს სალოცავში, სადაც მუსლიმ მოსახლეობას მიულოცა ყურბან-ბაირამის დღესასწაული. ასევე, სკოლის დამთავრება მიულოცა ახალგაზრდებს, უსურვა წინსვლა და წარმატებები მუნიციპალიტეტის და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამის შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

2. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალეკო კირვალიძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.
მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა- პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა, **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი ყოლის წესი ადგენს ცხოველების ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის სამართლებრივ საფუძვლებს და განხორციელების წესს. აგრეთვე ადგენს შინაური ბინადარი ცხოველებისათვის, როგორც ცოცხალი არსებებისათვის, მინიჭებულ ბუნებრივ უფლებებსა და მათი დაცვის მექანიზმებს, მეპატრონეთა და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების ვალდებულებებს. წესის მიღების მიზანია ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი ცხოველების მართვის სფეროში თანამედროვე, საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული და ჰუმანურ პრინციპებზე დაფუძნებული მეთოდების დანერგვა და განხორციელება, ურბანულ გარემოში ადამიანის და შინაური ბინადარი ცხოველის უსაფრთხო და თანაარსებობაზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფა, ასევე აღნიშნულ სფეროში შესაძლო საფრთხეებისა და რისკების იდენტიფიცირება და მათი პრევენცია/მართვა.

საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარემ, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ფრაქცია მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს, თუმცა კარგი იქნება, თუ მუნიციპალიტეტში შემუშავდება ცხოველთა თავშესაფრის მოწყობის საკითხი, რის შემდეგაც, მეტ-ნაკლებად მოგვარდება მაწანწალა ძაღლების პრობლემა.

საკრებულოს წევრი, **ჯუმბერ ბლაგიძე** თავის მხრივ შეუერთდა მილოცვებს. დარბაზში მყოფთ მიულოცა დამოუკიდებლობის დღე და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის არჩევა. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საკითხი, მოითხოვს უფრო დამუშავებას, ვინაიდან ამ ფორმით მიღების შემთხვევაში, ზედმეტად დააწვება მოსახლეობას, რადგან მაინც გარკვეულ გადასახადებთანაა დაკავშირებული. საკრებულოს წევრის განმარტებით, საკითხებს, რომელთა მიმართებაში იწყება ადმინისტრაციული წარმოება, მხარს დაუჭერს შემდგომი განხილვისთვის, მაგრამ ეწინააღმდეგება მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ საკითხს, რადგან იმ პროექტებთან დაკავშირებით, რომელიც უკვე ერთი წელია, რაც მოწონებულია, მაგრამ არ არის დასრულებული, შესაბამისი სამსახურებიდან დღემდე არ მიუღიათ პასუხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ადგილების შერჩევის მიზნით გასული იყო ჯგუფთან ერთად და კარგი იქნება, საკრებულოს წევრიც თუ ჩაერთვება ამ პროცესში.
საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.
მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 3 წევრი (ჯუმბერ ბლაგიძე, თორნიკე მითაიშვილი, გოჩა ჯანაშია)
მიღებული იქნა დადგენილება N12 (27.05.2026).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა, **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილების 1-ლი მუხლის ,,ა“ პუნქტით დამტკიცებულ N1-ლ დანართში ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესში“ უნდა შევიდეს ცვლილება და დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 209^3, 51^3, 53^3, 55-ე, 55^3, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-ე–35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური, გარდა საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125^4 პუნქტის, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 239-ე მუხლის 14^1 ნაწილით

გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.
მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 2 წევრი (თორნიკე მითაიშვილი, გოჩა ჯანაშია)
მიღებული იქნა განკარგულება N21 (27.05.2026).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **ალეკო კირვალიძემ,** რომლის განმარტებითაც, „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად წარმოგიდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა. კერძოდ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში დაცული ტერიტორიებისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 2667827 ლარს.
მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ თანხა გამოყოფილია დამატებით და მუნიციპალიტეტისთვის გათვალისწინებული 2026-2027 წლის ლიმიტები აღნიშნულ ფინანსებს არ შეეხება.
საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.
მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 2 წევრი (ჯუმბერ ბლაგიძე, გოჩა ჯანაშია)
მიღებული იქნა განკარგულება N22 (27.05.2026).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მისი განმარტებით, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2026 წლის 5 მარტის N481 განკარგულებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტს გამოეყო 6051160 (ექვსი მილიონ ორმოცდათერთმეტი ათას ას სამოცი) ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით მიიმართება 318485 (სამას თვრამეტი ათას ოთხას ოთხმოცდახუთი) ლარი. სულ, განსახორციელებელი პროექტების მთლიანი ღირებულება (მიმდინარე წელს დასაფინანსებელი) 6369645 (ექვსი მილიონ სამას სამოცდაცხრა ათას ექვსას ორმოცდახუთი) ლარი; მათ შორის:
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის, ქალაქის და გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზების რეაბილიტაცია-1868350 ლარი, აქედან, სახლემწიფო ბიუჯეტით დაფინანსედება-1774332 ლარი.
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზის რეაბილიტაცია, შუხუთის და ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულებში სანიაღვრე არხების მოწყობა-2105264 ლარი, აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება-2000 000 ლარი.
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის, ჩოჩხათის და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზების რეაბილიტაცია-2105264 ლარი, აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება- 2 000 000 ლარი.

- ქალაქ ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა-290767 ლარი, აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსება-276228 ლარი.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 19 მარტის N580 განკარგულებით, მუნიციპალიტეტს გამოეყო 2250000 (ორი მილიონ ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი, 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (საკუთრებაში რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლები, რომლებიც სოფლად დაინგრა ან არ ექვემდებარება აღდგენას) კომპენსაციის გაცემის მიზნით.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 მარტის N620 განკარგულებით, მუნიციპალიტეტს გამოეყო 20000 (ოცი ათასი) ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და მიიმართება რისკის ქვეშ მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამის დასაფინანსებლად.
აღნიშნული ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით მიზანშეწონილია ბიუჯეტის ცვლილებაზე დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.
მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 1 წევრი (თორნიკე მითაიშვილი)
მიღებული იქნა განკარგულება N23 (27.05.2026).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა, **ჯუმბერ ბლაგიძემ** ყურადღება გაამახვილა რამდენიმე საკითხზე:
✔ პირველ რიგში, შეეხო გაზიფიცირების თემას და აღნიშნა, რომ როგორც მუნიციპალიტეტის მერმა ჯერ კიდევ ორი თვის წინ განაცხადა, ადგილზე უნდა ჩამოსულიყვნენ სოკარის წარმომადგენლები. შესაბამისად, სანამ ნინოშვილსა და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში არ გამოსწორდებოდა სიტუაცია, მანამდე ნიგვზიანის და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში არ დაიწყებოდა გაზიფიცირებასთან დაკავშირებული პროცესები.
✔ საკრებულოს წევრის განცხადებით, ძალიან კარგია შუხუთის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, თუმცა დაინტერესდა, რა სიტუაციაა ჯურუყვეთის სკოლასთან დაკავშირებით.
✔ მან ასევე აღნიშნა, რომ ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში აშენდა 8 საბავშვო ბაღი, საიდანაც, უმეტესობა ან დანგრეულია, ან ავარიულია. აქედან გამომდინარე, ის დაინტერესდა, თავის დროზე რატომ განხორციელდა მშენებლობა ხარვეზებით და კიდევ რამდენი ბაღია ასეთ მდგომარეობაში. კერძოდ, იგულისხმა ნინოშვილის საბავშვო ბაღი, სადაც, როგორც მისთვისაა ცნობილი, პრობლემაა უსაფრთხოების კუთხით.
საკრებულოს წევრი, **ჯუმბერ ბლაგიძე** ასევე შეეხო მოქალაქე ვალიკო მგელაძის ირგვლივ განვითარებულ სიტუაციას და აღნიშნა, რომ ამ ადამიანმა, წლების განმავლობაში მოაწესრიგა და კეთილმოაწყო კორპუსის მიმდებარე ტერიტორია, მაგრამ ახლა ითხოვენ, რომ ათი დღის ვადაში აიღოს მოწყობილი ინფრასტრუქტურა, მაშინ, როცა ასეთ მიდგომას სხვა კერძო მესაკუთრეებთან მიმართებაში, რომლებიც არ უვლიან კუთვნილ ქონებას და არის უსახური ობიექტები, არ ჰქონია ადგილი.
საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ვინც არ უნდა იყოს, კანონი ყველასთვის ერთია და უნდა დაემორჩილოს.
საკრებულოს წევრის, **ჯუმბერ ბლაგიძის** განცხადებით, გასულ წელს სოფელ ხიდმაღალაში გაკეთდა გაბიონი, ამოღებულია მიწის მასა, მაგრამ სამუშაო არაა სათანადოდ შესრულებული, რის შესახებაც საქმის კურსშია შესაბამისი სამსახურის უფროსი და მერის მოადგილე.
მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** მიმართა საკრებულოს წევრს, რომ მას პრეტენზია არ გამოუთქვამს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მოქალაქე ვალიკო მგელაძემ შეურაცხყოფა მიაყენა მის კოლეგებს და ასევე, ქალბატონს, რომელსაც აღნიშნული საკითხი ზედამხედველობის კუთხით არ ეხებოდა. სწორი მიდგომა იქნებოდა, რომ საკრებულოს წევრს ფაქტი რეალურად წარმოედგინა და შემდეგ გაეკეთებინა კომენტარი. გარდა ამისა, ორი წლის წინ ვალიკო მგელაძესთან ერთად შეთანხმდნენ, რომ ღობეს აიღებდა მცენარეების წამოზრდის შემდეგ. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, მოქალაქეების ყოველი მიღებისას, აღნიშნული კორპუსის მაცხოვრებლები მოდიან და ითხოვენ ღობის აღებას, რადგან ეს ადამიანი მათთან კონფლიქტშია და არ უშვებს მოწყობილ ტერიტორიაზე. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, პარტიული კუთვნილება არ ნიშნავს, რომ ვინმე დაცული იქნება კანონის შეუსრულებლობისგან და ასეთი მიდგომით არასდროს არ ყოფილა ადამიანები გამორჩეულები. რაც შეეხება საბავშვო ბაღების თემას, მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ საქმე ეხებოდა არა რვა, არამედ რამდენიმე ბაღს. კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამის

სტრუქტურებში გაგზავნილია წერილი და მოიძიებენ, რა ბრალეულობაა ამ ბაღებთან მიმართებაში. გაზიფიცირებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ისაუბრა არა კომპანია ,,სოკარის“ წარმომადგენლებზე, არამედ გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე, რომელსაც აქვს გარკვეული ვალდებულება. იყვნენ მისი წარმომადგენლები ჩამოსულები და კომპანიის ხელმძღანელის თქმით, უახლოეს დღეებში მოხდება ,,სოკარისგან“ გადმოცემა თავისი ფინანსური რესურსით და დაიწყება რებილიტაცია, რასაც გარკვეული დრო ნამდვილად დასჭირდება, განსაკუთრებით იქ, სადაც 2025 წლის დიდთოვლობის შედეგად დაზიანდა ძალიან დიდი მონაკვეთები. რეალურად, მოსახლეობაში ეს ყველაფერი იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას, მაგრამ ყოველ ღონეს ხმარობენ. ასევე, შესაბამისი უწყებებიდან არის დაპირება, რომ უახლოეს პერიოდში მოგვარდება სიტუაცია.
ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერმა მიმართა საკრებულოს წევრს, ჯუმბერ ბლაგიძეს, რომ უნდა დააზუსტოს ინფორმაცია და სრულად დასვას კითხვა, რადგან გაუგებარია, რომელ ინფასტრუქტურულ პროექტზე საუბრობს საკრებულოს წევრი.
მუნიციპალიტეტის მერი, **ალექსანდრე სარიშვილი** კიდევ ერთხელ შეეხო საბავშვო ბაღების თემას და განმარტა, რომ არანაირი სხვა პრობლემა არ არსებობს, არამედ არის გარკვეული პროცედურა. ახლა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-საალმზრდელო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, მარინა კეიდია მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებთან ერთად იმყოფება ნინოშვილის ბაღში, რათა საბოლოოდ მოხდეს მისი ჩაბარება. ვინაიდან, რამდენიმე დღეში საბავშვო ბაღები იხსნება, ამიტომ ნინოშვილის ბაღი მზად იქნება სექტემბრიდან, ხოლო გულიანის ბაღთან დაკავშირებით, ადგილი აქვს გარკვეულ ხარვეზს, კომპანიის მიმართ განიხილება ჯარიმა და მიმდინარეობს რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით მუშაობა. იმის თქმა, რომ ნინოშვილის ბაღი აშენდა მეწყრულ ზონაში და სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნაში ეჭვის შეტანა, არასწორია.
საკრებულოს წევრის, ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის **ვარლამ ჩხარტიშვილის** განცხადებით, ის რომ თითქოს ნინოშვილის საბავშვო ბაღი აშენდა მეწყრულ ზონაში, არის აბსოლუტური სიცრუე. საქმე ეხება ბავშვებს და ასეთი ცრუ ინფორმაციით აპელირება, სრულიად მიუღებელია.

საკრებულოს წევრი **გოჩა ჯანაშია** დაინტერესდა შემდეგი საკითხებით:
-საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტებიდან რომელი ჩაბარდა I ეტაპზე და თუ არის მოსალოდნელი მე-2 ეტაპი. ასევე კიდევ რომელი პროექტები მოიაზრება;
-მისი ინფორმაციით, ორაგვის პროექტზე გამოცხადებულია ტენდერი 200000 ლარის ფარგლებში. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, ამ თანხით გარკვეული დაზიანება უნდა აღმოიფხვრას თუ რაიმე დარჩა გასაკეთებელი.
-საკრებულოს წევრი ასევე შეეხო საბავშვო ბაღების თემას და აღნიშნა, რომ აშენდა ოთხი ახალი საბავშვო ბაღი, ხოლო ოთხს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მაგრამ ათი წელიც არ გასულა და თითქმის ყველა შენობას პრობლემა შეექმნა. აქედან გამომდინარე, ყოველთვის იქნება ეჭვი, რომ რაღაც შეიძლება მოხდეს. ამიტომ, საჭიროა მეტი ყურადღება და მეტი პასუხისმგებლობის მოთხოვნა.
მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ რეალურად ოთხ ბაღთან დაკავშირებით არის დაწყებული მოკვლევა. არ აქვს მნიშვნელობა, საბავშვო ბაღი 2017 წლამდე აშენდა, თუ მერე. თუკი რაიმე პრობლემაა, თვალს არავინ დახუჭავს და მოყვება რეაგირება. შესაბამისმა უწყებებმა უნდა შეისწავლოს, თუ რატომ შეექმნა პრობლემა ამ ათწლიან პერიოდში აშენებულ კონკრეტულ საბავშვო ბაღებს. რაც შეეხება ეწრის საბავშვო ბაღს, შენობა რეაბილიტაციას არ ექვემდებარებოდა და უნდა მომხდარიყო დემონტაჟი.
საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით, მუნიციპლიტეტის მერმა განმარტა, რომ პირველი ეტაპი დაგვიანდა, რადგან გარკვეული სიტუაციებიდან გამომდინარე, პროექტების მიმართულებები შეიცვალა. რეალურად, ამ ეტაპისთვის გამოცხადებულია რამდენიმე ტენდერი. ძირითადად, არის ცენტრალური გზები, მათ შორის ორ უბანზე -ნიგოითსა და შუხუთში სანიაღვრე არხის მოწყობა და ქალაქში სპორტული დარბაზის მიმდებარე ეზოს მოწესრიგება. ასევე, აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ნაგომრის მიმართულებით ცენტრალური გზის და ქალაქში, თავისუფლების ქუჩის კეთილმოწყობა, ჩიბათსა და გვიმბალაურში ცენტრალური შიდა გზების რეაბილიტაცია. ჩოჩხათი-ნიგვზიანის დამაკავშირებელი და ომფარეთის გავლით, ღრმაღელე-წყალწმინდის დამაკავშირებელი გზების კეთილმოწყობა. ამასთან, პროექტების მიმდინარეობის პროცესში სახელმწიფოდან იქნება დამატებითი რესურსი გამოყოფილი, რათა სოფლებში დამატებით განხორციელდეს უკვე მოწონებული პროექტებიც. რაც შეეხება ორაგვეს, მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, ადგილი ჰქონდა გარკვეულ დაზიანებას, ასევე, რკინის კონსტრუქციები საჭიროებს გადაღებვის განახლებას. ტენდერი გამოცხადებულია და მიმდინარეობს მუშაობა ხელშეკრულებაზე. ამით, დასრულდება წინა პერიოდში აღებული

ვალდებულებები. როგორც ცნობილია, შემოსული იყო უპასუხისმგებლო კომპანია, რომელთან მიმართებაშიც მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდა შესაბამისი სანქციები, რის გამოც პროცესი გაჭიანურდა. ასევე, ზიპლაინთან დაკავშირებით, მოწვეული იყო ზიპლაინის ფედერაციის წარმომადგენელი, რომელმაც დაუდგინა გარკვეული ხარვეზი. შესაბამისად, კომპანიას დაამონტაჟებინეს ახალი ინვენტარი დაა ზემოთქმული სამუშაოების დასრულების შემდეგ შესაძლებელი გახდება ორაგვის ტურისტული ინფრასტრუქტურით სარგებლობა.
საკრებულოს წევრმა, **გოჩა ჯანაშიამ** აღნიშნა, რომ ქვიანში, ჭადრის ხეს მოტყდა ძალიან დიდი ზომის ტოტი, რომელიც შერჩენილია ხეზე და თავისთავად საფრთხისშემცველია. შესაბამის სამსახურს ჰქონდა რეაგირება, ადგილზე იყო მოსული ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დირექტორი გოჩა მოქია, რომლის განცხადებითაც, სამსახურს არ ჰყავს შესაბამისი ტექნიკა, რაც უზრუნველყოფს 30 მეტრ სიმაღლეზე სამუშაოების განხორციელებას, თუმცა აღნიშნული საკითხი საჭიროებს სასწრაფო რეაგირებას, რადგან ვითარება ძალიან სახიფათოა. რასაც დაეთანხმა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, **ზაზა წულაძე.**

საკრებულოს წევრი, **თორნიკე მითაიშვილი** დაინტერესდა, გათვალისწინებულია თუ არა პროექტში, სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში გამავალი ავტობანიდან ახალსოფელთან დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობა, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ამის თაობაზე მიწერეს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ ჩამოსულები და ადგილზე ნახეს სიტუაცია, მაგრამ ჯერ-ჯერობით პასუხი არ მიუღიათ. ასევე, საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის და სუფსის მაჟორიტარი დეპუტატის, ია მოქიას ინიციატივით, შემოვიდა სოფლის მაცხოვრებლების წერილი, რომლითაც ითხოვენ აღნიშნული ლოკაციის მოწესრიგებას.

საკრებულოს წევრმა, **ელისო ჭიჭინაძემ** პირველ რიგში, მუსლიმ ძმებს მიულოცა ყურბან-ბაირამის დღესასწაული, რის შემდეგ აღნიშნა, რომ არის საკითხები, რომელიც ცდება მუნიციპალიტეტის კომპეტენციას. მაშინ, როცა სამხარაულის ექსპერტიზა დებს დასკვნას იმის თაობაზე, რომ კონკრეტულ ადგილზე შეიძლება აშენდეს საბავშვო ბაღი, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. საკრებულოს წევრის განცხადებით, თითოეული მათგანისთვის ცნობილია მათ ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული პრობლემების შესახებ და კიდეც საუბრობენ ამის თაობაზე ფრაქციის სხდომებსა თუ შეკრებებზე. საქმის კურსში არიან როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, ასევე, მუნიციპალიტეტის მერი. საკრებულოს წევრმა იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი მუშაობით, ყველაფერი კარგად იქნება, მთავარია, ერთმანეთს სცენ პატივი.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

27 მაისი 2026 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 45	
2	ვერიკო კვირკველია	11 35	
3	მაია ლომთაძე	11.56	
4	გიორგი ჩახვაძე	11 35	
5	გიორგი ხელაძე	11 00	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 45	
7	ზაზა წულაძე	11 35	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 45	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 10	
10	ია მოქია	11:55	
11	დარეჯან ბურჭულაძე	11 35	
12	ლოლიტა ურუშაძე	11 55	
13	ვლადიმერ ნანაძე	მივლინებაში.	
14	კარლო წილოსანი	11 50	
15	ნინო მშვიდობაძე	12:00	
16	ივანე ებრალიძე	11 50	
17	ირაკლი ცინცაძე	11 50	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11 00	
19	თენგიზ ხუხუნაიშვილი	14:39	
20	გოგი მორჩილაძე		
21	ელისო ჭიჭინაძე	11 45	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 50	
23	ირაკლი ტოროტაძე	11.55	

24	ტატო ურუშაძე	11 50	
25	გელა პატეიშვილი	11 35	
26	თენგიზ ურუშაძე	11 50	
27	ვარლამ ჩხარტიშვილი	11:55	
28	ბესიკი კვაჭანტირაძე	11 55	
29	სამსონ კვაჭაძე	11-50	
30	გოჩა ჯანაშია	11 55	
31	თორნიკე მითაიშვილი	11 45	
32	ჯუმბერ ბლაგიძე	11 55	